ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7782655

ნომერი: AR11123951

თარიღი : 05.01.2026

გაცემის თარიღი : 23.01.2026

გაცნობის თარიღი : 23.01.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ოთარ ონიაშვილის ქუჩა N72;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კვეტენაძე პ/ნ 01003018678
- თბილისი, თემქა, მონადირის ქუჩა #21.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული AR11123951 (05/01/2026 წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სარებულოს განკარგულების შედეგად მომატებული (კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ავარიული შენობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) დაფიქსირება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, ამასთანავე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული 21/10/2020 № 5147934 გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ჩანაწერის მიხედვით, ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში, შესაბამისად აღნიშნული უკვე ვადაგასულია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება № 5147934 (21/10/2020 წ) და № 7242798 (07/10/2024წ) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.